# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 196. ხუთშაბათი, 26 თებერვალი 1904 წ. გაზეთის № 2421.


საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

## გ ა ა უ ქ მ ე ს!

ა. ჩეხოვისა.

ამას წინად, წყალდიდობის დროს, მემამულე, სამსახურიდან გამოსული პრაპორშჩიკი სტუმრად მისულ მიწის მზომელს კატავასოვს მასპინძლობდა. სვამდნენ, სჭამდნენ და თანაც ახალ ამბებს მოუთხრობდნენ ერთმანეთს. როგორც ქალაქში მცხოვრებმა, კატავასოვმა ბევრი ახალი ამბავი იცოდა: ხოლერის შესახებ, ომისა და აგრეთვე არაყზე აქციზის მომა-



ადმირალი სკრიდლოვი, შავი ზღვის ფლოტის უფროსი.

ტების შესახებ. იგი ლაპარაკობდა, ვივერტოვი-კი ყურს უგდებდა, ყოველ ახალ ამბის გაგონებაზე ოხრავდა და თან ეტყოდა ხოლმე:

— რა ბრძანებაა! ოჰო! ხედავთ! ე-ე-ე.

— რა მიზეზია, სემიონ ანტონიჩ, რომ პაგონები არა გაქვთ?—შეეკითხა ცნობის მოყვარეობით.



რუსეთის არტილერია მზად სდგას საომრად.

მიწის მზომელმა პასუხი მალე არ გასცა, გაჩუმდა, ჭიქით არაყი გადაჰკრა, ხელი ჩაიქნია და შემდეგ უპასუხა:

— გააუქმეს!

— ვერა ჰხედავთ, ე-ე-ე!... მე ხომ გაზეთებს არა ვკითხულობ [illegible]

ერთის მხრივ თუმცა კარგია: სალდათები ბატონ აფიცრებთან როდიღა შეგრევენ და ისეთ პატივს აღარ გცემენ. ისიც უნდა დაუმატო, არც კარგია: უწინდელი წარმოსადეგობა შეხედულება, დიდკაცობა აღარა გაქვთ. აღარა გაქვთ წინანდელი ღირსება.

— რა სათქმელია!—უთხრა მიწის მზომელმა და ხელი ჩაიქნია.—ჩვენ სრულიადაც არა ვწუხვართ. თქვენ კი ნამდვილად გაწყეინეს, პაველ იგნატიჩ, ვხედავ თქვენს გარემოებას.

— მაგალითად, როგორ?—შეეკითხა ვივერტოვი.—ვის შეუძლიან შეურაცხყოფა მომაყენოს?

— მე იმის შესახებ მოგახსენებთ, რომ გააუქმეს პრაპორშჩიკობა... მართალია, დიდი რამ არ არის, პატარა ხარისხია, მაგრამ მაინც სახელმწიფო მოსამსახურეა, აფიცერია... სისხლი დაუღვრიათ, მაშ რად უნდა გაეუქმებინათ?

— როგორ.... უკაცრავად, კარგად არ მესმის....—წაილუღლუღა ვივერტოვმა, ფერმა გადაჰკრა და თანაც თვალები დააშტერა.—ვინ გამაუქმა?

— განა არ გაგიგიათ? ბრძანება გამოვიდა, რომ პრაპორშჩიკები სრულიად აღარ უნდა იყვნენო. განა არ გაგიგიათ?



რუსეთის არტილერიის მოგზაურობა მანჯურიაში.

ბრძანება იყო, რომ სამსახურში მყოფი პრაპორშჩიკები პოდპორუჩიკებად უნდა გახდნენ, თქვენ კი, სამსახურიდან გამოსულები,—არაფერი ხართ, გინდათ იყავით პრაპორშჩიკებად, გინდათ არა.

— ჰმ... მაშ მე ეხლა რა ვარ? [illegible]



კურინო, პეტერბურგში იაპონიის ელჩად ნამყოფი.



ჩემულპოს ნავთსადგური.



პორტ-არტური. ფორტი „ტიგროვოი"-ს ნახევარ კუნძულზე. ზღვის მხარე.



რუსეთის ნაღმიანი გემი.



იაპონიის ნაღმიანი გემი.



იგივე—ხმელეთის მხარე.



ორენბურგელი ყაზახები შორეულ აღმოსავლეთში.



იაპონიის ჯარის კაცები და აფიცრები.

სიზმარი, მოგონება ხართ! თქვენ თვითონ ვერ მიჰხვდებით რა ხართ?

ვივერტოვს რაღაც უნდა ეკითხა, მაგრამ ვერ მოახერხა:

უდუნდა, პირში ძეხვის ნაჭერი დაუღეჭავი დარჩა და ჩაყლაპვა ველარ მოეხერხებინა.

— რა თქმა უნდა, კარგად არ მოგექცნენ!—უთხრა მიწის მზომელმა და თან ამოიოხრა.—ძალიან კარგი, მაგრამ მაინც ვერ ვაქებ ასეთ ქცევას. ეხლა ვინ იცის, უცხო ქვეყნის ვაზეთებში რა ამბები იქნება! არა?



რუსეთის ჯარი მანჯურიაში



არტილერია რუსეთის გემზე



მანიფესტაცია ტოკიოში (იაპონია)



რუსეთის არტილერია ციხის ფორტებზე



სათადარიგო მეზღვაურთა ასვლა იაპონიის ჯავშნიან გემზე.



რუსეთის ჯარი მანჯურიაში.

— მაინც არ მესმის....—სთქვა ვივერტოვმა.—ეხლა თუ მე პრაპორშჩიკი არა ვარ, მაშ რა ვარ? არაფერი? ეხლა როგორც ვატყობ, ყველას შეუძლიან არად ჩამაგდოს, შემლუქსოს?

— მაგისი რა მოგახსენოთ! ჩვენ ხომ ეხლა კონდუქტორებად გვთვლიან. ამას წინად რკინის გზის მოძრაობის უფროსი გზაზე მოდიოდა, იცით, ინჟენერის პალტოთი, ეხლანდებურად, უპაგონოდ, და რომელიღაც გენერალი თურმე იძახის: „კონდუქტორო, მატარებელი მალე წავაო“? შელაპარაკდნენ და ერთი ამბავი მოხდა. ამის შესახებ ხომ გაზეთებში არ შეიძლება ბეჭდვა, მაგრამ... ყველამ გაიგო. მახათი ტომარაში არ დაიმალებაო!

ახალის ამბით შეშფოთებულმა ვივერტოვმა ჭამა-სმას თა-

გონზედ მოსულიყო, მაგრამ კვასი ყელზე დაადგა და ჩაყლაპვა ველარ მოახერხა.

როდესაც მიწის მზომელი გაეცილა, გაუქმებულმა პრაპორშჩიკმა ყველა ოთახები მიიარ-მოიარა და ფიქრს მიეცა. იფიქრა, იფიქრა და ვერაფერი მოიფიქრა. ღამე ლოგინში ხვნეშავდა, ოხრავდა და ისევ ფიქრობდა.

— გეყო მაგდენი ოხვრა!—უთხრა ცოლმა, არინა მატვეევნამ და მუჯლუგუნი უთავაზა.—ისე კვნესი, თითქო მშობიარე იყო! იქნება მართალი არ გამოდგეს:—ხვალ წადი ვისთანმე და იკითხე. მჩვარო!

— როდესაც ღირსება და სახელ აყრილი დარჩები

მთელი ღამე უძილოდ გაატარა ვივერტოვმა. მეორე დღეს ჩალისფერი ცხენი შეაბა თავის „დროჟკაში“ და სწორე ამბის გასაგებად გასწია.

იფიქრა, ჯერ ახლო მეზობელთან შევივლი და თუ შემდეგ საჭიროება მოითხოვს, თვით წინამძღოლთანაც წავალო. როდესაც სოფ. იპატიევზე მიდიოდა, გზაში დეკანოზ პაფნუტ ამილიკტიანს შეჰხვდა. დეკანოზი პაფნუტი ეკლესიიდან სახლში მიდიოდა, გაჯავრებული კვერთხს იქნევდა და ხშირად უკან მიმდევარ დიაკვანს მიუბრუნდებოდა ხოლმე ბუტბუტით:

— შენ, ჩემო ძმაო, ტუტუცი ყოფილხარ, ნამდვილი ტუტუცი!

ვივერტოვი დროჟკიდან გადმოძვრა და ლოცვა-კურთხევის ასაღებად მიუახლოვდა.

— მოგვილოცავს, მამაო დეკანოზო, დღევანდელი დღე!— მიულოცა და თან ხელზე ემთხვია.— მწირველი ბრძანდებოდით?

— დიახ!

— ასეა... ყველას თავის საქმე აქვს! თქვენ სულიერი მწყემსი ხართ, ჩვენკი მიწის მომვლელი შეძლებისა და გვარად... თქვენ დღეს რადა ხართ უორდენოდ?

პასუხის მაგივრად დეკანოზი მოიღუშა, ხელი ჩაიქნია და ნაბიჯს მოუმატა.

— აუკრძალეს!—ჩურჩულით აუხსნა დიაკვანმა.

ვივერტოვმა გაჯავრებულ მიმავალ დეკანოზს თვალი გააყოლა და რაღაცა მწარე მომავალზე გული შეეკუმშა: ამბავი, რომელიც მიწის მზომელმა აცნობა, ეხლა მართლდებოდა.

პირველად მეზობელ მაიორ იჟიცასთან შეიარა და როდესაც იმისი დროჟკა მაიორის ეზოში შედიოდა, სურათი რამ დაინახა. იჟიცა ფესით და ხალათით შუა ეზოში იდგა, გაბრაზებული ფეხებს ატყაპუნებდა და ხელებს იქნევდა. იმის წინ მოსამსახურე ფილკას წინ და უკან დაკოჭლებული ცხენი დაჰყავდა.

— უმსგავსო!—ცხარობდა მაიორი.—ავაზაკო, გაიძვერავ, ჩამოხრჩობა შენთვის ცოტაა, წყეულო! ღორისთავო! ოჰ, გაუმარჯოს, როგორ ბრძანდებით,—უთხრა, როდესაც ვივერტოვი დაინახა.—თქვენი ნახვა დიდად სასიამოვნოა. როგორ მოგწონთ, აბა: ერთი კვირა იქნება, რაც ცხენს ფეხი გაჰფუჭებია და ეს კი, ავაზაკი, გაჩუმებულა. კრინტიც არ დაუძრავს, მე რომ არ შემემჩნია, ჩლიქი მთლად გაუფუჭდებოდა. რას იტყვით, რა ხალხია-და? შიგ კისერში არ უნდა ვცემო? არა, საცემი არ არის? კარგი გასატყეპი არ არის, გეკითხებით?

— მშვენიერი ცხენია,—უთხრა ვივერტოვმა, როდესაც იჟიცას მიუახლოვდა.— დასანანია! მაიორო, თქვენი ცხენი მცოდნე კაცთან გაგზავნეთ მოსარჩენად. მე, მაიორო, სოფელში კარგი ცხენის მომრჩენი კაცი მყავს!

— მაიორო,—წაიბუტბუტა იჟიცამ, ზიზღმორეული.— მაიორო!.. ხუმრობისთვის არა მცალიან! ცხენი ავადა მყავს და თქვენ კი მოჰყოლიხართ: მაიორო, მაიორო! როგორც ჭილყვავი: კრრ... კრრ!

— თქვენი ქცევა, მაიორო, არ მესმის. განა პატიოსანი ადამიანი შესაძლებელია ჭილყვავს შეადაროთ?

— მაშ მე რა. მაიორი ვარ? განა მაიორი ვარ?

— მაშ რა ხართ?

— ეშმაკმა იცის, რა ვარ!—უთხრა იჟიცამ.—წელიწადზე მეტია, რაც მაიორები აღარ არიან. თქვენ სად იმყოფებით? გუშინდელი ბავშვი ხომ არა ხართ?

ვივერტოვმა იჟიცას შეშინებულივით შეჰხედა და სახეზე ოფლის წმენდა დაიწყო, რაღაცა არა სასიამოვნო ამბავს ელოდდა.

— არა, მომითმინეთ... — ეუბნებოდა ის. — კარგათ ვერ მიგიხვდით... მაიორის ხარისხი კარგა დიდი რამ არის!

— დიახ!!

— მაშ როგორ მოხდა? თქვენც...

მაიორმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია და ისევ ლაპარაკს მოჰყვა:

— საძაგელ ფილკას ცხენისთვის ჩლიქი გაუფუჭებია,— უამბობდა გაგრძელებით და შემდეგ ცხენის დაჩირქებული ჩლიქი ცხვირწინაც კი მიუტანა. მაგრამ ვივერტოვი ვერას ამჩნევ-[illegible] შეუმჩნევლად შესცქეროდა· თავდავიწყებული გამოეშვიდობა, დროჟკაში ჩაჯდა და გამწარებულმა მეეტლეს შესძახა:

— წინამძღოლთან გასწი! ჩქარა!

წინამძღოლი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი იაგოდიშევი, შორს არ იდგა. ერთი საათის სიარულის შემდეგ ვივერტოვი იმის სასტუმრო ოთახში შედიოდა და თავს უკრავდა. წინამძღოლი მდივანზე იჯდა და „ნოვოე ვრემიას“ კითხულობდა. როდესაც ვივერტოვი დაინახა, თავი დაუქნია და სავარძელზე უჩვენა.

— მე, თქვენო აღმატებულებავ, —დაიწყო ვივერტოვმა:— ჯერ უნდა თქვენ წინ გამოვცხადებულიყავ, მაგრამ რადგან ჩემი ღირსების ამბავი ჯერ კარგად არ შემიტყვია, ვბედავ მოვმართო თქვენს აღმატებულებას ახსნელად....

— მომითმინეთ, პატივცემულო,— გააწყვეტინა წინამძღოლმა.—უპირველესად თქვენ ჯერ აღმატებულებას ნუ დამიძახებთ, გთხოვთ!

— რას მიბრძანებთ... ჩვენ ხომ პატარა კაცები...

— საქმე ეგ არ არის. აი, რასა სწერენ...—წინამძღოლმა „ნოვოე ვრემიის“ ნომერს თითი დააჭირა ისე, რომ ჩახვრიტა:—აი, ვითომ ჩვენ, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები, აღმატებულებად აღარ ვიქნებით. ნამდვილად სწერენ. რა ვქნათ! ნუ ვიქნებით, ჩემო ბატონო! არ გვინდა, ნუღარ დაგვიძახებენ! არც საჭიროა!

ადგა იაგოდიშევი და სასტუმრო ოთახში ამაყად გაიარგამოიარა... ვივერტოვმა ღრმად ამოიოხრა და ხელიდან ქუდი გავარდა. „თუ ამათამდის მისულან,—გაიფიქრა იმან:— პრაპორშჩიკებისა და მაიორების შესახებ რაღა სალაპარაკოა, სჯობს წავიდე...

ვივერტოვმა რაღაცა წაიბუტბუტა და გამოვიდა, მაგრამ წინამძღოლის ოთახში ქუდი დაავიწყდა. ორი საათის შემდეგ ფერ წასული სახლში დაბრუნდა, უქუდოდ, დაღვრემილის სახით. როდესაც დროჟკიდან გადმოვიდა, მორცხვად ცას შეხედა: მზეც ხომ არ გააუქმესო? იმის არეულ სახით გაკვირვებული ცოლი კითხვებით არ ასვენებდა, მაგრამ ყოველ კითხვაზე ვივერტოვი ხელის ჩაქნევით უპასუხებდა...

მთელი კვირა არც უსვამს, არც უჭამია და არც დაუძინია, ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში შერყეულივით დაფიქრებული მიდი-მოდიოდა. სახე მოეღუშა, თვალები ჩაუცვივდა... არავის ელაპარაკებოდა, არც არავისთან მიდიოდა. როდესაც არინა მატვეევნა კითხვებით მიუახლოვდებოდა ხოლმე, იგი მხოლოდ ხელით იგერებდა, უსიტყვოდ... რას არ უშვრებოდნენ, რომ გონზე მოეყვანათ. დიდგულის წვენს ასმევდნენ, ხატის ზეთს აყლაპებდნენ, ცხელ აგურებზედ სვამდნენ, მაგრამ არა შველოდარა; იგი თან-და-თან უფრო ხდებოდა და ხალხს ემალებოდა. მამა პაფნუტის დაუძახეს, გრძნობაზე მოეყვანა. დეკანოზი მთელი დღე ეცადა ჩაეგონებინა, რომ ეხლა ჩინს თან-და-თან მაღლა სწევენ და არა აკლებენ და ამცირებენ. მაინც იმისმა კეთილმა სიტყვებმა ჯეროვანი ნიადაგი ვერ იპოვა. თავის გასამრჯელოში ხუთი მანეთი აიღო და ისე წავიდა, რომ ვერა უშველარა.

ერთის კვირის სიჩუმის შემდეგ ვივერტოვმა ძლივს ოდნავ ხმა ამოიღო.

— რას გაჩუმებულხარ, შე ოტრუელო?—მივარდა უცბად ყაზახს ილიას.—დამცინე, მასხარად ამიგდე, თითით აჩვენე ღირსება დაკარგულზე, იმხიარულე!..

ეს უთხრა, იტირა და ერთის კვირით ისევ გაჩუმდა. არინა მატვეევნამ სისხლის გამოშვება გადასწყვიტა. ფერშალი მოვიდა, ორი მათლაფა სისხლი გამოუშვა და თითქოს უკეთესობა დაეტყო. მეორე დღეს ვივერტოვი მივიდა საწოლთან, რომელზედაც იმისი ცოლი იწვა, და უთხრა:

— არინა, მე ამას ისე არ დავთმობ. ეხლა ყველაფერს ვიზამ... ჩინი დავიმსახურე და არავის ნება არა აქვს იმის მოტაცებისა. აი, რა მოვიფიქრე: გაუგზავნი რომელსამე დიდ კაცს თხოვნას და მოვაწერ: პრაპორშჩიკი ესა და ეს... პრაპორშჩიკი გესმის? გამოჯავრებული! პრაპორ-შჩიკი... რაც უნდა ჰქმნან! გამოჯავრებული!

ეს აზრი ისე მოეწონა ვივერტოვს, რომ სახე გაუბრწყინდა და საჭმელიც კი მოიკითხა. ახალის აზრით აღტაცებულმა დაიწყო სიარული ოთახში, მწარედ იღიმებოდა და ოცნებას ეძლეოდა.

— პრა-პორ-შჩიკი... გაჯავრებული!

ალ. საათაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.